პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 11 ოქტომბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 [illegible]

# წითელი არმიელი

(929) 231 | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. [illegible]

ორშაბათს, 12 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ტფილისის ამასკომის დარბაზში დანიშნულია ტფილისის ამასკომის პლენუმის

**სხდომა.**

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ტფილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულების შესახებ.
2. მოხსენება საგეგმო კომისიის რეორგანიზაციის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

## გლეხთა ინტერნაციონალი.

ორი წლის წინად ქ. მოსკოვში საფუძველი ჩაეყარა გლეხთა ინტერნაციონალს. ამ ხანებამდე ასეთი ინტერნაციონალი არ არსებობდა მსოფლიოში, არც არავის მოსვლია აზრად მისი დაარსება და მშრომელი გლეხობის დარაზმვა ერთ ორგანიზაციაში მსოფლიო მყვლეფელების—ბურჟუა-მემამულეების წინაღმდეგ საბრძოლველად. ყოველივე ამის მიზეზად კი უნდა ჩაითვალოს გლეხობის უფრო გვიან გამოსვლა მსოფლიო ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე.

რაც შეეხება ქალაქის მუშებს, ამათ კი ჯერ კიდევ 1864 წელში დასავლეთ ევროპაში დააარსეს მსოფლიო მუშათა კლასის გამაერთიანებელი და ბრძოლის შტაბი—პირველი ინტერნაციონალი.

1914 წლის იმპერიალისტურმა ომმა, რომელმაც შეიწირა ათეული მილიონობით მუშა და გლეხი და რომელმაც დასცა ქალაქისა და სოფლის წარმოება—გამოაფხიზლა მსოფლიო მუშათა კლასთან ერთად სოფლის გლეხობაც. გლეხობამ სწორეთ ამ ომის შემდეგ იგრძნო თავისი საუკეთესო შვილების დანაკლისი და საერთოდ ომის აუწერელი შედეგები. ამასთანავე ერთად გლეხობა დღეს ხედავს, რომ იმპერიალისტები კიდევ უმზადებენ მას ახალ სისხლის ღვრას.

სწორეთ ამ იმპერიალისტურმა ომმა და რუსეთის დიდმა რევოლუციამ აუხილა თვალები გლეხობას. ამის შედეგად ჩვენ მივიღეთ გლეხთა ინტერნაციონალის დაარსება, რომელმაც თავის ლოზუნგად წამოაყენა: „მთელი ქვეყნის მშვიდობიანობის უზრუნველყოფა და ომის საშიშროების თავიდან აშორება“.

ინტერნაციონალის პირველი კონფერენცია მოწვეულ იქნა 1923 წლის 10 ოქტომბერს, რომელსაც დაესწრო 100-ზე მეტი დელეგატი. ამ ხანებში ქ. მოსკოვში მოხდა სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-სამრეწველო გამოფენა, რომელსაც საბჭოთა კავშირის გლეხებს გარდა დაესწრენ ბურჟუაზიული სახელმწიფოების გლეხებიც. სწორეთ ამ დროს აქ დამსწრე გლეხებში წამოიჭრა საკითხი და გამოითქვა სურვილი გლეხთა ინტერნაციონალის დაარსების შესახებ.

დღეს ორი წლის თავზე გლეხთა ინტერნაციონალი თავის რიგებში ითვლის მსოფლიოს ყველა კუთხის გლეხთა მრავალ ორგანიზაციებს. ამ ინტერნაციონალში შედის დღეს ჩინეთის გლეხთა მოძრაობის ყველა ორგანიზაციებიც.

ამასთანავე ერთად მას აქვს აღებული გარკვეული ხაზი და იცის როგორ უნდა იბრძოლოს მუშათა კლასის ხელმძღვანელობის ქვეშ და მასთან მჭიდრო კავშირში, მსოფლიო მტაცებლების წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის დასამყარებლად.

# ახალი რადიო-ამბები

## ლოკარნოს კონფერენცია.

### გერმანიის შეურიგებელი პოზიცია.

ლოკარნოდან (შვეიცარიაში) მიღებული ცნობა კვლავ ადასტურებს, რომ გერმანია უარს ამბობს რეინის ხელშეკრულობაზე ხელის მოწერასა და ერთა ლიგაში შესვლაზე.

### გერმანიის დელეგაციის უიმედობა.

ჰავასის სააგენტო ლოკარნოდან იტყობინება: „სხდომის შემდეგ, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი გერმანიის შესვლის შესახებ ერთა ლიგაში, გერმანიის დელეგატები უიმედო განწყობილებაზე დადგენ, როცა გაიგეს, რომ მოკავშირეები ერთსულოვნად იცავდენ თავიანთ თვალსაზრისს გერმანიის შესვლის შესახებ ლიგაში.

დელეგატებმა დასტოვეს სხდომა იმ შთაბეჭდილებით, რომ გერმანია ვარდება გარიყულ მდგომარეობაში გერმანიის დელეგაციის მიერ დაჭერილ პოზიციის გამო.

ამ შთაბეჭდილებამ დააფიქრა გერმანიის დელეგაცია. შესაძლებელია დელეგაციამ შეიცვალოს მიმართულება შექმნილ გარემოების და მიხედვით.“

### მოსახვევ წერტზე.

იტალიის დელეგატმა ლოკარნოში (შვეიცარიაში) შალოიამ განაცხადა, რომ კონფერენცია ამ ჟამად იმყოფება მობრუნების წერტზე, ვინაიდან უკვე შეეხენ მომავალი ხელშეკრულების მეტად ძნელ საკითხებს.

ჯერ კიდევ არავითარი გადამჭრელი შედეგები არაა მიღწეული, მაგრამ თვითეულმა მხარემ უკვე გამოსთქვა თავისი თვალსაზრისი. შალოიას სიტყვით არის შეთანხმების შესაძლებლობა, მაგრამ ამაზე დაბეჯითებით რწმენის გამოთქმა არ შეიძლება.

მან აგრეთვე განაცხადა, რომ იტალია მზადაა ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას, რამდენადაც ის ეხება დასავლეთ საზღვრებს.

## შახის სპარსეთში დაბრუნების წინააღმდეგ.

აზერბეიჯანის ნაციონალისტების თავრიზის კომიტეტი მოითხოვს, რათა შახი არ დაბრუნდეს სპარსეთში და იმუქრებიან აზერბეიჯანის დაუყონებლივ გამოყოფით სპარსეთისაგან. ნაციონალისტები მოუწოდებენ სპარსეთის მოსახლეობას გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვები.

ამასვე მოითხოვს აზერბეიჯანის ნაციონალისტების თეირანის კომიტეტი.

ისფაჰანში დაიწყო საყოველთაო საპროტესტო გაფიცვები შახის მოსვლის წინააღმდეგ. მოსახლეობას განზრახული აქვს გააგრძელოს გაფიცვები მანამ, სანამ საბოლოოდ არ გამოირკვევა საკითხი შახის მოსვლის შესახებ.

გაზ. „ირანი“ იუწყება, რომ შახმა დეპეშა გააგზავნა თეირანში მისი სპარსეთში დაბრუნების გადადების შესახებ.

## მაროკოს ომის გარშემო.

### აჯანყებული ტომები მორჩილებას აცხადებენ.

ჰავასის სააგენტოს ცნობით მაროკოს აჯანყებულთა ზოგიერთი ტომები აცხადებენ მორჩილებას.

შეუმოწმებელ ცნობების მიხედვით, ესპანეთის ჯარებმა დაატოვებიეს რიფებს სამასი ტყვე ესპანელი.

## მდგომარეობა სპარსეთში.

უკანასკნელ ცნობათა მიხედვით სპარსეთში მოსალოდნელია დიდი პოლიტიკური ამბები. მდგომარეობის გართულება დაკავშირებულია სპარსეთის შახის (მეფის) სამშობლოში დაბრუნებასთან, რომელიც, თავის სურვილის წინააღმდეგ, დასეირნობდა ევროპის სატახტო ქალაქებში. რომ გავერკვიოთ სპარსეთის ეხლანდელ ვითარებაში, საჭიროა გავიხსენოთ ის ამბები, რომელსაც ადგილი ჰქონდა იქ ამ ოთხი წლის წინედ. სპარსეთი დიდი ხნიდან მეფის რუსეთის და ინგლისის საქიშპო ლუკმა იყო. ამ ქვეყანაში სპარსეთის ხალხის დაუკითხავად და მის ზურგზე მუდამ დავა იყო მეფის რუსეთს და ინგლისს შორის მათი გავლენების გასაფართოებლად. მაგრამ, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რუსეთის დამოკიდებულება სპარსეთისადმი, როგორც სხვა კოლონიალურ და ნახევარ-კოლონიალურ ერებისადმი, არსებითად შეიცვალა. საბჭოთა რუსეთმა სპარსეთს აპატია ძველი ვალი 60 მილიონი მ. ოქროთი და ამიერიდან საბჭოთა რუსეთსა და სპარსეთს შორის ისეთი ურთიერთობაა, როგორც თანასწორის თანასწორთან.

ამ მოვლენამ დიდათ შეუწყო ხელი სპარსეთის ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო და არის ინგლისის ძალადობის წინააღმდეგ.

ამ მოძრაობის ხელმძღვანელმა პარტიამ, რომელსაც, ეხლანდელ მთავრობის თავმჯდომარე, ცნობილი სარდალი სერდარ-სეპახი ხელმძღვანელობს, კიდევაც შესძლო სპარსეთიდან ინგლისის ჯარების გაძევება და მათ უკან თავის შახიც მიაყოლეს დროებით, რომელიც ყურ-მოჭრილ მონა იყო უკანასკნელთა ხელში. სერდარ-სეპახი გაცხოველებული მუშაობდა სპარსეთის განახლებ სათვის. მან ახალ რეფორმების მთელი რიგი გაატარა, რომელიც მიმართული იყო ფეოდალიზმის ამოსაფხვრელად. მან შექმნა მტკიცე რეგულიარული არმია. მაგრამ ინგლისი არ აძლევს დასვენებას სპარსეთს. ის მოწადინებულია ისევ ფეოდალური წესწყობილება აღადგინოს სპარსეთში, რომ კვლავ გახდეს მისი ბატონ-პატრონი. ის სპარსეთის ყველა კუთხეში აწყობს ადგილობრივ ფეოდალების აჯანყებას, ეხმარება მათ ფულით და იარაღით, მაგრამ სერდარ-სეპახი, ნაციონალისტურ და პროგრესიულ სპარსეთის ხელმძღვანელი, მუდამ გამარჯვებული გამოდის ამ ბრძოლებიდან. ინგლისი შიგ სპარსეთის დედაქალაქ თეირანში აწარმოებს აგიტაციას და პროვოკაციას. მეჯლისში (საკანონმდებლო ორგანო) კიდევ მოიპოვება რეაქციონურ დეპუტატების საკმაოდ ძლიერი ჯგუფი, რომლის საშუალებით ინგლისი აწარმოებს თავისი რეაქციონურ პოლიტიკას. ისინი ცდილობენ შექმნან არევ დარევა ქვეყანაში, გამოიწვიონ კრიზისები, გაავრცელონ პროვოკაცია.

წინა დღეებში ცნობა იყო, რომ სერდარ-სეპახმა დეპეშა გაუგზავნა შახს სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

გაზეთები ამ გარემოებას სერდარ-სეპახის მხრივ ხსნიდენ, როგორც პარლამენტარულ ხრიკს, რათა მას შეენელებია შექმნილი მდგომარეობა. დღეს კი რადიო-ცნობები გვაუწყებენ, რომ სპარსეთი მღელვარებითაა მოცული შახის დაბრუნების განზრახვის გამო. ნაციონალისტები საერთო მთელ სპარსეთში გაფიცვით იმუქრება. აქა იქ კიდევაც გაფიცულან. მღელვარება ფართო ხასიათს ღებულობს და უთუოთ ამიტომაც იტყობინება შახი, ჩემი ჩამოსვლა სხვა დროისთვის გადადევითო. ეროვნულ—გამათავისუფლებელი მოძრაობა სპარსეთში საკმაოდ ძლიერია, რომ თავისი პოზიციები ასე იოლად არ დაუთმოს შახს, მემამულეებს და მათი ზურგის გამმაგრებელ—ინგლისელებს. სპარსეთი კარგათ ხედავს იმ სარგებლობას და უპირატესობას, რომელსაც მას აძლევს საბჭოთა კავშირი და ის ნებას არ მისცემს გაბატონდეს იმ ძალებს, რომელნიც წინააღმდეგი არიან საბჭოთა კავშირის და სპარსეთის მეგობრულ ურთიერთობის.

ნ.

## ჩვენი სიმღერა.

რყევა და შიში არა გვჩვევია,
ვართ ჩვენ შვილები მშრომელი ხალხის,
ვეტრფით მომავალს მზიანს, მშვენიერს,
ვართ მშენებელნი ქვეყნისა ახლის.

—

მივეშურებით წითელ ყაზარმას
ჩაქუჩ—ნამგალის, შრომის დამცველად,
გასამტკიცებლად მაშვრალთ უფლების
და ბოროტების აღმოსაფხვრელად.

—

სადარაჯოზედ მტკიცედ ვიდგებით
ვით კლდე ურყევი, ვით კლდე მაგარი
და თუ კი სადმე გამოჩნდა მტერი
მას თავზარს დასცემს ჩვენი ლაშქარი.

—

მივეშურებით წითელ ყაზარმას
და წინ მიგვიძღვის დროშა ნათელი
ჩვენსა ყიჟინას, ამაყ სიმღერას
ბანსა აძლევენ ტყე-მთა და ველი.

ე. ხუციშვილი

## საპროტესტო გაფიცვები მაროკოს ომის წინააღმდეგ.

პარიზის მრავალრიცხოვან პროლეტარულ აუდიტორიის (კრების) წინაშე გააკეთა მოხსენება მაროკოდან დაბრუნებულმა მდგომარეობის გამომძიებელმა მუშათა დელეგაციამ.

კრებამ დაადგინა 24 საათიანი საპროტესტო გაფიცვების ჩატარება მაროკოს ომის წინააღმდეგ და რიფებთან ძმური კავშირისთვის.

## სამხედრო საქმე

### შენიღბვა.

**როგორ უნდა სწარმოებდეს გადარბენა.**

სწრაფი გადარბენისა და დაწოლის გარდა მეომარს უნდა შეეძლოს ადგილ-მდებარეობის შეფასება ისე, რომ გადარბენის ან გადახოხვის დროს ის ვერ შეამჩნიოს მტრის მოთვალთვალემ. ადგილმდებარეობის შეფასება მოძრაობის ფარულად შესრულებისთვის მდგომარეობს მდებარეობის ამორჩევაში ადგილობრივი ფარული ადგილებით.

არა ერთხელ აღგვინიშნავს გაზეთში და გვილაპარაკია მეცადინეობაზე, რომ მსროლელის უკეთ დანახვა შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა ის გადარბის და არა, როცა დაწოლილია. ხოლო აქედან დასკვნა: გადარბენა უნდა სწარმოებდეს რაც შეიძლება ფარულად, რისთვისაც უნდა ისარგებლო ყოველგვარ უსწორ-მასწორო ადგილებით.

ხშირად მოხდება, რომ უსწორ-მასწორი ადგილები (ორმოები, თხრილები და სხვა) სავსებით ჰფარავენ მსროლელს როცა ის მიხოხავს, ხოლო გადარბენის დროს ჰფარავს მას მხოლოდ ნაწილობრ, მაგ. წელამდი.

აქ თვითონ მსროლელმა უნდა მოისაზროს თუ როგორი წესით უნდა გადავიდეს: გადარბენით თუ გადახოხვით; მსროლელ უნდა ახსოვდეს, რომ მისი დანახვა არ შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უსწორ-მასწორი ადგილები ან ბუჩქები, ლელიანები და სხვა მას სავსებით ჰფარავენ. მასთან ადგილობრივ საგნებზე ნახევრად მოფარებულ მსროლელის დანახვა შეუძლებელია იმ შემთხვევებში, როცა გადასარბენი მანძილი მოკლეა და მეომრის ტანისამოსი შეეხამება ადგილ-მდებარეობის ფერს.

მოკლე მანძილზე სწრაფად გადამრბენი მსროლელი (საშუალო დისტანციებზე—800—1000 მეტრზე) ძნელი შესამჩნევია, ახლო მანძილზე—უფრო ადვილად შესამჩნევი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მსროლელის ტანისამოსი მკაფიოდ განირჩევა ადგილმდებარეობის ფერისაგან, მისი (მსროლელის) შემჩნევა სულ ადვილია.

თუ რომ მტრის მიერ დაუნახავ დაბალ ადგილზე გაწოლილია მსროლელი ბუჩქებზე ან სხვა რამეზე მოფარებით, ის ხშირად უჩინარი იქნება, ვინაიდან დამფარველ საგანთან მიახლოების გამო დაუნახავ სივრცის სიმაღლე იზრდება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა დამფარველ საგნისაკენ მომავალი გზა საერთოდ დაბლდება.

ხოლო რომ სისწორით გაარკვიოს ამ დაუნახავ სავრცის სიმაღლე, დაწოლილი მსროლელი ფრთხილად და ნელა უნდა წამოდგეს მანამ, სანამ თავის წინ ის ხედავს მხოლოდ იმ სახს, რომლის მიმართულებითაც ის უნდა წავიდეს. ეცოდინება რა წინ მდებარე ადგილის ხასიათი, მას ადვილად შეუძლია მოისაზროს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მან დაუნახავი სივრცე ფარულად წინ წასაწევად.

საუკეთესოდ და შეუმჩნევლად წინსვლა შეიძლება გადახოხვით, მაგრამ საჭიროა დიდი სიფრთხილე. თუ რომ მსროლელი ღია ადგილზე დაიწყებს გადახოხვას, ის შეიძლება ნელი მოძრაობის გამო შემჩნეულ იქნას მტრის მოთვალთვალის მიერ.

ამიტომ ასეთი ღია ადგილები გადარბენილ უნდა იქნას სწრაფად და შესვენების დროს სწრაფადვე უნდა გაწვე მიწაზე.

რაც შეეხება შორ მანძილს, მსროლელი უნდა მიდიოდეს მეტ ნაწილად გამართული, საშუალო დისტანციებზე—მოხრილი და უნდა მიმართავდეს გადარბენას. მტერთან ახლო მანძილზე, როცა ის (მტერი) ეცდება გახსნას ძლიერი ცეცხლი თოფიდან, უმჯობესია უნდა მიმართოს გადახოხვით წინსვლას. მასთან მტრის ცეცხლის შესუსტებისა და მოფარებულ ადგილთან მიღწევის დროს მოუხდება წინსვლის ორივე ხერხის ხმარება. ყველა შემთხვევებში მსროლელს უნდა ახსოვდეს შენიღბვა.

ი. ბარ.

## რევოლიუციის ჯარისკაცი.

(სურათები)

პაპანაქება.

მზე სტრუსავს დედამიწას.

ლექსო სიმინდის დათოხნის შემდეგ ნაფუზარის ბოლოში, რუის პირას, ტყემლის ჩრდილქვეშ წამოწოლილა და ფიქრებს გაუტაცნია ოცნების ფრთებზე.

—ლექსოს გაუმარჯოს!

მოესმა უკვე თავზე წამომდგარ შაქროს ხმა, რომელიც გადმოვიდა ხევგაღმა ვენახით.

—აი გადღეგრძელდა, შაქრო! სადა ყოფილხარ? მოდი ჩრდილში, მოისვენე..

—ემანდ ჩვენს ვენახს წყალი გადვუგდე, და...

მიუგო და ბარი ღობეზე მიაყუდა; წამოწვა მხართეძოზე; გააბეს მუსაიფი სოფლის ჭირვარამზე, მოსავალზე, ახალ ამბებზე და სხვა...

—სხვა? როდის მიხვალ ჯარში?

—ზეგ დილით.

—რა ვქნა, ე ომი ხომ არსადა აქვთ, რომ გაგროვებენ?

—არა, ლექსო; ჯარი ეხლა ახალ ყაიდაზე ეწყობა, და... აი ტერიტორიალებს რომ ეძახიან.

და დაწვრილებით აუხსნა დღევანდელ გაწვევის მნიშვნელობა, რომ გლეხი და მუშა თავის პირდაპირ სამუშაოებს არ მოსცდეს, რათა ყოველმხრივ გამარჯვებულ საბჭოთა ხელისუფლებას სასოფლო-სამეურნეო და მრეწველობის დარგში დაეხმაროს, ააყვავოს, შესაფერის დონეზე დააყენოს, დიდხანს არ გააცდინოს ისინი ყაზარმებში, ნაკლები ხარჯი გაეწიოს სახელმწიფო ჯარის შენახვაზე, ყველა მშრომელმა იცოდეს სამხედრო საქმე, რომ მსოფლიო მტაცებლებისაგან თავი დაიცვას, თუ საჭირო შეიქნა, და შეტევაზეც გადავიდეს...

რაც კი გაეგონა შაქროს, კრებებზე, მიტინგებზე, ალმასკომის თავმჯდომარისაგან, ახკომკავშირის უჯრედში, სადაც უკვე ექვსი თვე იყო რაც წევრად შევიდა; რაც გაზეთებში წაეკითხა, ყველა უამბო; უამბო აგრეთვე საერთაშორისო ამბები და სხვა...

გამოღვიძებულ სოფლის ახალგაზრდობაში შაქრო ერთ პირველთაგანად ითვლებოდა და ლექსოც სიამით უსმენდა, უჯეროდა...

—ჰა, რას იტყვი, ლექსო?

შესცვალა ლაპარაკის კილო. შაქრომ, ცოტა სიჩუმის შემდეგ.

—ჰაი შე გიჟო! კიდევ არ გადიყარე ფიქრი ი გოგოზე?!

უთხრა ლექსომ, ღიმილით, და თითი დაუქნია.

შაქროს ალმური აუთამაშდა სახეზე, თავი ჩაღუნა..

—ეს რაღაც სამი თვეა სამსახური, ხელად გავაჩანჩალებ, და.. წინ რაღა დაუდგება ჩვენს ქორწილს! დედაჩემმა ხომ გითხრა კიდეც, გუშინწინ...

წარმოსთქვა დარცხვენით.

—ვნახოთ, შვილო, ჯერ მაინც 15 წლის ძლივსაა,.. მენანება თავიდან მოშორებაი... თანაც ხომ იცი, ძველი დრო ხომ აღარაა, რომ მე გადავსწყვიტო იმისი ბედ-იღბალი. ვკითხავ თითონ, და თუ..

შაქროს სახე გაუბრწყინდა... მის ბედნიერებას ეხლა წინ აღარაფერი უდგას; მას და მაროს უკვე კარგა ხანია რაც უყვართ ერთმანეთი და პირობაც აქვთ მიცემული ცოლ-ქმრობის; სოფლის ჭორიკანა დედაკაცები ხომ დიდიხანია რაც ჩურჩულებენ მათს სიყვარულზე...

—ვიცი რომ კაი ბიჭი ხარ, კაი ოჯახის შვილი, მუშა, გამრჯე, მარიფათიანი, მაგრამ რა ვიცი, მარო, ვაი თუ...

აღარ დაათავა.

მას გაახსენდა შაქროს განსვენებულ მამის მეგობრობა, ამხანაგობა, რომელთანაც ერთად ხშირად ყოფილა სამკალად წასული შამხორსა, ბორჩალოსა, ყარაიასა და ყაზახშიაც... მოიგონა თავისი სიჯიელე, როდესაც შაქრო და მარო პატარები იყვნენ და მამებმა ხუმრობით დანიშნეს კიდეც, თითქოს, რომ როცა გაიზრდებოდენ მათი შვილები, დამოყვრებულიყვნენ; და თანაც, შაქრო, როგორც სახელოვანი ბიჭი, სოფელში, გულში ჩაუვარდა, შეუყვარდა; უარის თქმა დაეზარა...

—მაშ იმედი ვიქონიო, ლექსო?

წამოდგა შაქრო, წასასვლელად, და შეეკითხა გაუბედავად.

—ვნახოთ, შვილო შაქრო, ვნახოთ. შევეკითხები ი ჩემ დედაკაცს, თითონ მაროსაც, და ვნახოთ... მაგრამ აგერა თითონაც...

შაქრო სიხარულისაგან აიწურა...

2.

მართლაც, მარო, პატარა კალათით მხარზე, გადმოადგა გორაკს, და რა მამა ვერ შეამჩნია სიმინდში მომუშავე, თვალებზე ხელის დაჩრდილვით ძებნა დაუწყო.

ექეთ, შვილო, აქეთ!

გასძახა ლექსომ.

მარო დაეშვა...

მის გედივით მოღერებულ ყელს სით ჰკოცნიდა სიცხის ანც ათამაშებით, და თმებს უვარცხნიდა ყირაზე გადასვლით; მზით აწითლებულ სახეს ღიმილი ელერსებოდა; ჭრელი ქალაღაია, მხრებზე, პეპლის ფრთებივით ერხეოდა...

აჭუჩუჩებული სიმინდი მწვანე ელვით ახმაურდა მის დანახვაზე; ლილიფარა*) სხვა მეუმზირებთან ერთად მიესალმა სიცილით, აღმოსავლურ მარიფათიანი თავის დახრით; ღობის ძირას ვერცხლისფრად ანაბეზმენტევი რუ, რაღაცა ბუტბუტით ლიკლიკებდა და ლოთიანად ჩაფარა შხეფები, ზანტად ყურებ დაშვებულ ყაყაჩოს და წელი შეამუშვენია...

—ეი, მძინარავ! გაიღვიძე, ხომ ხედავ ჩვენი დედოფალი მოდის...

თითქოს ეუბნებოდა ის და ხევში ოთურმას გადადიოდა...

—აჰ!

აღმოხდა მაროს, ყრუდ, რა შეამჩნია შაქრო, მამასთან და ქალაღაიას კალთა აიფარა სახის ერთი მხრით...

გულმა ცემა დაუწყო; სახეს ვარდის პოზა აენისლა; მორცხვი იასავით თავი დახარა...

— რა იყო, შვილო კრაზანამ ხომ არ გიკბინა?

შეეხუმრა მამა.

— არა, მამა, ისე...

გაუბედავად ჩაილაპარაკა.

— ვიცი, ვიცი შე კუდრაჭავ. შეგრცხვეს რომ უმალავდი მამას, შეგრცხვეს...

დაემუქრა განგებ.

— იმ, რა არის მამა?

—ჰო, კარგი ნუ მიმალავ; შაქრომ მითხრა ახლა ყველაფერი.

შაქროს გაეღიმა.

— ქა, რა გითხრა? მე, რა.. მე...

— ჰო, კარგი. თუ ერთმანეთი გიყვართ, აბა მე რაღა მეთქმის!..

— მე არავინაც არ მიყვარს...

ქურდულად შაქროს შეხედა... მარჯნის ტუჩთა ღიმილში ბროლის კბილებმა იელვეს...

შაქრო სიხარულისაგან ხმას ვეღარ იღებს...

ცაც!

შეუტია ლექსომ, მშობლიური სიყვარულით.

— მამა!..

— გაჩუმდი მეთქი! მე უკვე ვიცი ყველაფერი...

— იცი და, იცოდე... აი შექამანდი მოგიტანე.

უთხრა ოდნავ გასაგონად, შეკუნტრუშდა, და რუისპირს ჩაჰყვა... ყვავილებს დაუწყო კრეფა; მალულ თვალს არ აშორებდა შაქროს, რომელიც ბარზე დაყრდნობილიყო და თვალებით სჭამდა საყვარელ არსებას თითქოს ეუბნებოდა:

— რაღად გინდა ყვავილის კრეფა, განა შენ თითონ ყვავილი არა ხარ?

მარო კი მას უკრეფდა რომ შეეკონა საყვარლის გვირგვინად ნექტარ აზიდულ ასუნელებით...

— მოდი, შაქრო, მეწვიე.

რა ჯამი ჩაიბუჟბუჟა პურით, წითელ ლობიოში, მიიწვია ლექსომ.

— არ გესმის, შაქრო? მეწვიე-მეთქი!

თითქმის მერამდენჯერმე ეუბნებოდა ის, მაგრამ შაქროს ჭამისთვის არა სცალოდა; ის ამ დროს მაროს ტყვე იყო...

— შაქრო!

— ჰა, მე მეძახი, ლექსო?

— ჰოოდე, შენა... მოდი, არა გშია!..

— არა, არ მინდა ლექსო, მადლობელი ვარ მე..

ეუბნეუბოდა, დაბნეული, და მაროს თვალს არ აშორებდა.

ლექსო უყურებდა ამ სურათს, სიხარულით, და თხოვნით აღარ შეუწუხებია.

მას გაახსენდა თავისი ყმაწვილკაცობა, როდესაც თავის დაროსთვის ასევე იწოდა. მაშინ მისთვის დაროს გარდა არაფერი არსებობდა ქვეყანაზე...

ამ სურათმა მას აგრძნობინა ყველაფერი; ის აღარაფერს ჰკითხავს მათ, და ისე გაერთო რომ ყურებაში ჰამაც კი დაავიწყდა...

მზე გადიხარა...

აგრილდა...

— კარგი, შაქრო, გეყოფა...

გაეხუმრა ლექსო, რა ადგა და დააპირა სიმინდში შესვლა...

— აი, ერთი კვალი-და დამრჩა გასათოხნი, მოვრჩები და ამოველ; იქ, სახლში მოვილაპარაკოთ.

— მაშინ მოგიკვდეს შაქრო რომ გაგსარჯო!

უთხრა შაქრომ, გამოსტაცა თოხი და შეესია სიმინდს.

ლექსო ყოყმანობდა, არ უნდოდა შაქროს დასაქმება, მაგრამ ის არ მიუშვა...

უყურებდა ყოჩაღად მომუშავე შაქროს და მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; მათს ბედნიერებაზე და უკვე შვილიშვილზედაც კი დაიწყო ოცნება...

— ეი, შენ, პატარა ეშმაკო! მოდი აქ.

მოიხმო მარო რომელიც რუზე ჰუჭერლს რეცხავდა და კალათში ალაგებდა.

— მითხარი, შვილო, გიყვარს შაქრო?

შეეკითხა, რა კალათი აიღო მან უკვე სოფლისაკენ აპირებდა წასვლას.

სიჩუმე...

— მითხარი, ძალიან გიყვარს?

არ ეშვებოდა ლექსო.

— მამა...

უთხრა მარომ და კისერზე ჩამოეკიდა...

პაუზა...

სიხარულის ცრემლებ მორეულმა ლექსომ შუბლზე აკოცა...

აღარაფერი უკითხავს...

მაროს სიჩუმე ყველაფერს ამბობდა...

ს. ერ—ლი.

*) ფერადი, ტუჩების მოწითანო—მოლილისფრად შემღებავი მზეუმზირა (სემიჩკა)

# ტერ-ნაწილების ცხოვრება და მუშაობა

## გავაცილეთ კურსანტები.

მე-6 ტერლეგიონი.

მშვენიერი დღე გათენდა. ამომავალი მზის სხივები მხიარულად დანათის წითელარმიელების კარვებს. ბანაკი უკვე კარგა ხანია გამორკვეულია ძილისაგან და ჩვეულებრივი ფუსფუსია კარვებ შორის. სამეცადინოთ აღარ ემზადებიან. ლეგიონს უფრო სხვანაირი ხალისიანობა ეტყობა. აგერ გამოიტანეს წითელი დროშები. მესაკრივეთა გუნდიც თავის ადგილს იკავებს და ემზადებიან... გაისმა საყვირის ხმა. წითელარმიელები ფიცხლავ შეგროვდენ... მოეწყვენ ასეულებად.

„დღეს უნდა გავაცილოთ, ჩვენთან დროებით სამუშაოზე მოვლენილი სკოლის კურსანტები".—გაისმა რომელიღაც წითელარმიელის ხმა. ცნობის მოყვარე ამხანაგს უთხრა ეს და თითონ კი ძუნძულით მირბოდა მის ასეულში ჩასადგომათ.

ლეგიონის მთელი შემადგენლობა უკვე მზად იყო. მოვლენილი კურსანტები დაეწყვენ წინა რიგში. უფ-პოლიტ შემადგენლობაც აქ არის. აფრიალდა წითელი დროშები, დაიგუგუნა მუსიკამ მგზავრული და ლამაზად გამწკრივებული გაუდექით გზას სამხედრო სკოლისაკენ.

... მიუახლოვდით... შორიდანვე მოვკარით თვალი სკოლის ეზოში დამწკრივებულ კურსანტებს... ისინი ჩვენ მიგველოდენ. მიუახლოვდით თუ არა იგრიალა ორივე მხარიდან „ვაშამ" და „გაუმარჯოსო", რომელიც დიდხანს არ შეწყვეტილა...

მისალმების შემდეგ სიტყვით გამოვიდა ლეგიონის თავი ამხ. გრიგოლია, რომელიც შეეხო ძველსა და ახალ ჯარს, მათ შორის განსხვავებას და მეორის უპირატესობას.

ბოლოს მან მთელი ლეგიონის სახელით მადლობა გადაუხადა ლეგიონში მოვლენილ კურსანტებს ენერგიულ მუშაობისათვის.

ასეთივე სამადლობელი სიტყვებით გამოვიდნენ 4, 3 და 8 ასეულების პოლიტხელები და წითელარმიელები ნაციონალურ ასეულებიდან.

საპასუხო სიტყვებში კურსანტებმაც ხაზი გაუსვეს ლეგიონის არმიელებისა და მეთაურების მათდამი კარგად მოპყრობას და მადლობა გადაუხადეს მათ.

ამის შემდეგ კურსანტებმა მიგვიწვიეს სკოლაში და დაგვათვალიერებიეს ლაბორატორიები და გაგვაცნეს თავისი ყოფა-ცხოვრება.

სამხკორი ე—ლი.

## ჩვენი საბანაკო საქმიანობიდან.

2-რე ც. მესანგრეთა ასეული

ბანაკში ყოფნის დროს ჩვენი ასეული სისტემატიურად აწარმოებდა პრაქტიკული ხასიათის მუშაობას, რომელსაც კინო აპარატებითაც კი იღებდენ.

ამ მხრივ აღსანიშნავია განსაკუთრებით ორი ოქტომბერი, როდესაც ასეულის ყოველგვარი სამხედრო მეცადინეობის სახე იქნა კინო—აპარატით გადაღებული. ამის შესახებ წინასწარ ეცნობა ყველა არმიელებს და დილიდანვე ხალისიანად შეუდექით მუშაობას.

ზოგიერთი, ამხანაგები სიხარულით ცას ეწეოდენ რომ ეკრანზე ისინიც გამოჩნდებოდენ.

ამოკითხვის შემდეგ ასეული შეუდგა ჩვეულებრივ მეცადინეობას. კინო აპარატი გაცხარებული იღებდა ყველა ჩვენს მოძრაობას.

ამის შემდეგ მეთაურებმა გვიბრძანეს ყველა საჭირო იარაღებითა და მასალებით აღვჭურვილიყავით.

ყველაფერი თვალის დახამხამებამდე იქნა შესრულებული. გაისმა სათანადო ბრძანება და გავეშურეთ მდინარე მტკვრისაკენ. აპარატი თან მოგვდევდა და გზადაგზა იღებდა სურათებს.

ბრძანების თანახმად არმიელები დაყვენ რამოდენიმე ნაწილად და შეუდგენ სხვა და სხვა სამუშაოებს. ზოგი ფუგარებს აკეთებდა, ზოგმა კი მცურავი ხიდის დამზადებას მოჰკიდეს ხელი.

ერთი საათი არც კი გასულიყო, რომ მცურავი ხიდი მოთავდა, რომელზედაც გადაიდით მდინარის მეორე ნაპირზე.

ამის შემდეგ დაიწყო ფუგარების (ნაღმი) აფეთქება. აფეთქებული იქნა აგრეთვე წინადღით სახელდახელოდ გადებული უძრავი ხიდი.

მახლობელ სოფლებიდან აუარება ხალხი დაგვესწრო და სიხარულით შესცქეროდენ ჩვენს საქმიანობას.

მთელი ეს მუშაობა გადაღებული იქნა აპარატით და შემდეგ გამოვეშურეთ უკან ჩვენი კარვებისაკენ.

წ. არმ. ფრანგი.

## ლავრენტი ვლადიმერის ძე სლინკო.

ლავრენტი სლინკოს სახით ქართულმა გაერთიანებულმა სამხედრო სკოლამ დაჰკარგა ერთი იშვიათი შრომის უნარის მქონე და სამხედრო საქმის მცოდნე თანამშრომელი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სლინკოს სახელთან დაკავშირებულია ქართული სამხედრო სკოლის წარმატება. ლავრენტი სულით და გულით და მთელი თავისი არსებით სკოლის, წინსვლის საქმით იყო გატაცებული; იგი ხარობდა მის წარმატებით, მისი გაფურჩქვნით და მტკიცე ნიადაგზედ დაყენებით.

ლავრენტის ხვდა წილად მეტად მძიმე ხანა ქართული სამხედრო სკოლის ვითარებაში: სკოლას არ ჰქონდა სახელმძღვანელოები, ხელსაწყობი და სხვა სასწავლო ნივთები. ლავრენტი როგორც სამოსწავლო ნაწილის უფროსი გულით სწუხდა და იტანჯებოდა ამ მოვლინით და ყოველ ზომებს ხმარობდა ეს ნაკლი აეცილებია სკოლისათვის. ტომით რუსი იგი ღებულობს მონაწილეობას კოლექტიურ მუშაობაში და ქართულ ენაზედ გამოდის ფუძე სამხედრო მეცნიერების „ტაქტიკის" სახელმძღვანელოს სამი ნაწილი: ქვეითი ჯარისა არტილერიისა, ცხენოსანი და სპეციალი დარგის ჯარებისა. ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა, ჯანღონით სავსეს, მას შეეძლო კიდევ ბევრი გაეკეთებია სამხედრო სკოლისათვის, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა ეს ძვირფასი ადამიანი, რომლის ხსოვნა სამხედრო სკოლის თანამშრომლებში, კურსანტებში და სკოლიდან გამოსულ წითელ უფროსებში მარად იარსებებს.

გ. ბარნაბიშვილი.

## ჩვენი ბიბლიოთეკა.

მე-5 ტერ ლეგიონი.

ჩვენ ბიბლიოთეკას ბევრი ყავს მკითხველები, რომლებიც სისტემატიურად კითხულობენ წიგნებს. გაზეთების კითხვითაც ძალიან დაინტერესებული არიან.

საერთო შეკრების პერიოდში ბიბლიოთეკა ძლიერ უწყობდა ხელს მკითხველებს. განსაზღვრული საათები, თუ როდის ჩვენი ბიბლიოთეკა ღია არ არსებობს. დილის 7 საათიდან ის გაღებულია საღამოს 9 საათამდე, ბიბლიოთეკაში ყოველ დღიურათ დაახლოვებით 60 კაცამდე მოდის.

წ. არმიელები ძალიან დაინტერესებული არიან იმით თუ რა ხდება ჩვენს გარშემო საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ, გაზეთებს ძლიერ ეტანებიან.

სამხკორი ო—ვი.

# ახალ ძალების მოლოდინში

## ვემზადებით ახალწვეულების შესახვედრად

1 ლ ქართ. მსრ. ლეგიონი.

გასული თვის უკანასკნელ რიცხვებში დამთავრდა გრძელვადიან შვებულებაში 1902 წ. დაბ. გასული წლის მაისში გამოწვეულთა გაშვება.

მათი დათხოვნის შემდეგ ლეგიონში დარჩა სულ მცირე რიცხვი წ.-არმიელებისა. მიუხედავათ ამისა მაინც სწარმოებდა, როგორც სამხედრო ისე პოლიტიკური მეცადინეობა.

ამ ახლო მომავალში ლეგიონი მოელის ახალ სტუმრებს—1903 წ. დაბადებულ ახალგაზრდებს, რომლებიც შეავსებენ ჩვენს რიგებს.

ახალ სტუმრების შესახვედრად სწარმოებს ვაცხოველებული მუშაობა, ეწყობა ახლად ლენ-კუთხეები, ახალი ლოზუნგებით და პლაკატებით, ირთვება კლუბი და სამკითხველო, სუფთავდება ყაზარმები. ვემზადებით აგრეთვე განსაკუთრებული კედლის გაზეთის გამოსაშვებათ, სადაც უმთავრესად იქნება გაშუქებული მომავალთა საქმიანობა ნაწილში.

ჩვენი მიზანია დავარწმუნოთ მომავალი ახალგაზრდები იმაში, რომ დღევანდელი ყაზარმა არ არის ძველებური ციხის მსგავსი. არამედ ის წითელი სკოლაა, სადაც ჯარის კაცი იძენს ცოდნას, რომ შესძლოს მტრისა და მოყვარის ერთმანეთისაგან გარჩევა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალი ახალწვეულები შესძლებენ ყოველივე დაბრკოლებების გადალახვას და შესძლებენ აგრეთვე გაცილებით მეტი ცოდნის შეძენას ვინემ 1902 წელში დაბადებულები.

სალამი მომავალ სტუმრებს.

სამხკორი მ. ოდიშარია.

## შეუდექით საზამთრო საქმიანობას.

სამხედრო მეთაურთა სკოლა.

6-სი ოქტომბრიდან ჩვენი კურსანტები დაუბრუნდენ სკოლას. ნაწილებში პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილები, უფრო ენერგიულად შეუდგებიან საზამთრო თეორიულ მეცადინეობას. სკოლა სრულიად მოწესრიგებულია. ლაბორატორიები გაჩაღებული. საღამოს ამოკითხვამ ისევ აახმაურა ჩვენი სკოლა. ამხანაგები თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს. 7 ოქტომბერს დილით გაისმა შეკრების ნიშანი. ყველა ამხანაგებმა თავი მოიყარეს კლუბის წინ და გულის ფანცქალით უცდიდენ მიზეზის გაგებას.

რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდა სამოსწავლო ნაწილის უფროსი, რომელმაც გვაუწყა მეცადინეობის დაწყების შესახებ 8 ოქტომბრიდან.

ამ დღის განმავლობაში ვაწარმოებდით წინასწარ სამზადისს მეცადინეობისათვის. მეორე დღეს კი შეუდექით ლაბორატორიებში მუშაობას.

იმედი გვაქვს წრევანდელი წელიწადი უფრო ნაყოფიერი იქნება ჩვენთვის.

სამხკორი შ. ვახაძე.

## მოვაწყვეთ თეატრი.

2 რე ლეგიონი.

ლეგიონის თეატრი საკმაოდ მოზრდილი შენობა იყო, მაგრამ დასაჯდომები ისე უხეირხულად იყო დალაგებული, ხომ ერთ ასეულ კაცზე მეტს არ შეეძლო მოთავსებულიყო შიგ.

ლეგიონმა გადასწყვიტა თეატრის გადახალისება, ბაღებული იქნა საჭირო თანხა და სულ რამოდენიმე ხანში მოწესრიგდა საქმე. ამ ჟამად თეატრის დარბაზი თამამად იტევს 500-600 კაცამდე.

თეატრს ესაჭიროება სხვა მხრივაც, უმთავრესად დეკორაციებით უზრუნველყოფა, მაგრამ ლეგიონს საამისო თანხები უკვე აღარ მოეპოება. კარგი იქნება გამონახავდენ ისეთ დაწესებულებას, რომელიც ამ უკანასკნელითაც უზრუნველყოფს თეატრს და საბოლოოდ დაგვეხმარონ მის დამთავრებაში.

სამხკორი ლალიძ

## წარმოდგენა წითელარმიელებისათვის.

9 ოქტომბერს სანიტ-განათლების თეატრში (ევანგულოვის ქ.) ჯანმრთელობის კომისარიატთან შემდგარ დრამატიულ წრის-მიერ, მსახიობ ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით დაიდგა მისივე სანიტ-პიესა: „მზისკენ", პიესაში მონაწილეობდენ ახალგაზრდა მსახიობები.

წარმოდგენა განსაკუთრებით წითელ არმიელებისათვის იყო დადგმული, რომელსაც დაესწრენ ქართულ, როგორც პირველ, ისე მეორე დივიზიის წითელ არმიელები. პიესამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. არმიელებს წესიერად ეჭირათ თავი და ანტრაქტებში თავისი მოხდენილი სიმღერით კიდევ უფრო ამხიარულებდენ დარბაზს.

სამწუხაროა, რომ ასეთ წარმოდგენებზე არა ჩანან მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობა; სანიტ-განათლება კი ყველასათვისაა საჭირო...

თვითონ პიესას არა უშავდა-რა მხიარულად იქნა ჩატარებული...

პიესაში მონაწილეობდენ აგრეთვე პერინის სტუდიის ბავშვები.

მადლობის ღირსია ხსენებული დაწესებულება ასეთი წარმოდგენებისათვის.

ს—ნ.

## შეჯიბრი სროლაში.

2 რე არტლეგიონი.

29 სექტემბერს პირველი საველე დივიზიონი გაემგზავრა მაილიანი ტბებისაკენ მანევრებზე. სროლა სწარმოებდა მთელი დღის განმავლობაში საომარი ყუმბარებით. სროლებზე დაესწრო არტილერიის უფროსი შჩეგლოვი, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა ბატარეის უფროს ამხ. კვანტრიშვილს სანაქებო სროლისათვის.

30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს, მთელმა ლეგიონმა გამართა ჯილდოიანი შეჯიბრებითი სროლა. სროლის წესი იყო შემდეგი: თითო ქვემეხზე (ზარბაზანზე) იყო დანიშნული ოთხი მიზანი, მათთან ექვსი ყუმბარა. ორ ყუმბარას გაისროდენ ქვემეხის გასასწორებლათ, დანარჩენს კი თითეულად განსაზღვრულ დროის განმავლობაში.

პირველი შეჯიბრება მოხდა დივიზიონებს შორის. გამარჯვებული გამოვიდა 2-რე საგაუბიცო დივიზიონი, მეორე ბატარეის უფროსმა აჯიბა, მეორე საველე ბატარეისას.

მეორე შეჯიბრი გაიმართა ლეგიონის კადრ წ. არმიელებ შორის. გამარჯვებული გამოვიდა 2-რე საგაუბიცო ბატარეის კადრის წ. არმიელი ჯალაღანია

მესამე. —შეჯიბრი ლეგიონის ცვალებად წ. არმიელებ შორის, სადაც პირველი ჯილდო მიიღო ამხ. შანშიაშვილმა. შეჯიბრმა დიდი გავლენა იქონია ლეგიონის, როგორც წითელ არმიელებზე, ისე მეთაურთა შემადგენლობაზე. სროლები სწარმოებდა 2 ოქტომბერსაც.

ვლ. ნავრუზაშვილი.

## 1-ლი ლეგ. საკავშირო გუნდი.

გუნდში ამ ჟამად ვირიცხებით რამოდენიმე წ. არმიელები; ვცდილობთ საერთო ცოდნაში არ ჩამოვრჩეთ სხვა ნაწილებს, მაგრამ სამწუხაროთ არა გვყავს პოლიტიკური ხელმძღვანელი არ არც ლენინის კუთხის გამგე. ამნაირად საერთო ხელმძღვანელობას სრულიად მოკლებული ვართ.

წინად ასეთ ხელმძღვანელობას გვიწევდა გუნდის უფროსი, მაგრამ ამ ჟამად ეს ამხანაგი ისეა დატვირთული სხვა და სხვა საქმეებით, რომ ჩვენთან მეცადინეობას ვეღარ ახერხებს.

დროა დაგვინიშნონ ერთი ისეთი პოლიტიკური ხელმძღვანელი და ლენინის კუთხის გამგე, რომელიც შესძლებს კუთხის შესაფერად მოწყობას და მუშაობის გამოცოცხლებას. მით უმეტეს სადაც არის მოვლენ ახალწვეული არმიელები და თუ წინასწარ არ იქნა საქმე მოგვარებული მაშინ გაჭირდება მათთვის სათანადო ხელმძღვანელობის გაწევა.

წ. არმ. ვ. ბაჯელაძე.

# ახკომკავშირელთა შორის

პოლიტსკოლის უჯრედი.

8 ოქტომბერს შესდგა სკოლის ახკომკავშირის უჯრედის კრება. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: ერთი თვიანი გეგმის დამტკიცება, მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, განცხადებების განხილვა და მიმდინარე საკითხები.

პირველად კრებამ განიხილა გეგმა მუხლობრივად და დაამტკიცა უცვლელად. ამის შემდეგ კრებას გაეცნო სხვა და სხვა ორგანიზაციებზე მიმაგრებულ ამხანაგების სია. კავშირი დავიჭირეთ უმთავრესად მუშურ ორგანიზაციებთან.

საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კობახიძემ, რომელიც შეეხო დასავლეთ ევროპის სხვა და სხვა ღირსშესანიშნავ მომენტებს. კრებამ ბოლოს განიხილა აგრეთვე ამხანაგების განცხადებები.

უჯრედმა შუამდგომლობა აღძრა ვისთანაც ჯერ არს რათა მიღებული იქნენ ისინი კომუნისტური პარტიის კანდიდატებათ.

სამხკორი ს. ოსეპაშვილი.

# წითელ არმიელთა წერილებიდან.

## მორიგეობის დროს თავის ადგილზე არ არის.

ქუთაისის გარნიზონის საავადმყოფოში ხშირად ვერ ნახავთ ექიმს თავის პოსტზე. ერთი ასეთი შემთხვევას სხვათაშორის ადგილი ჰქონდა 2 ოქტომბერს.

კომენდანტმა მიბრძანა, ქალაქის გაუპტვახტიდან საავადმყოფოში წამეყვანა ერთი წითელი არმიელი, რაც შევასრულე.

საავადმყოფოში მისვლისას არავინ არ დამხვდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა მოწყალების და, რომლიდანაც გავიგე, რომ მორიგე ექიმი იქ არ იყო—კინოში წასულიყო. ავადმყოფი მან ვერ მიიღო და მთელი 5-თი საათის განმავლობაში მომიხდა ცდა. ვიმეორებ ასეთ მოვლენას ხშირად აქვს ადგილი საავადმყოფოში. საჭიროა უფროსმა ექიმმა ყურადღება მიაქციოს მას და ბოლო მოეღოს უყურადღებობას.

წ. არმ. ლ. ბლიაძე.

## საჭიროა წ.-არმიელთა წიგნაკები.

1-ლი არტლეგიონი.

ჩვენი ლეგიონიდან გრძელ ვადიან შვებულებაში წ. არმიელები ძლიერ კმაყოფილი წავიდნენ, მაგრამ ერთის შესახებ მაინც სწყდებოდათ გული. მათთვის არ დაურიგებიათ წითელ არმიელთა წიგნაკები. წითელ არმიელისათვის უმნიშვნელო რამეს სულ დიდი მნიშვნელობა აქვს.

რომ შემდეგშიც არ განმეორდეს ასე, საჭიროა ლეგიონის მესვეურები ამ თავითვე მიიღებდნენ შესაფერ ზომებს ასეთი წიგნაკების შესაძენად და მოსვლისთანავე დაურიგებდნენ ახალწვეულებს.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

# 2-ე ლეგიონის საკავშირო კომისია.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში ლეგიონის შემადგენლობის გაერთიანებულ კრებაზე არჩეული იქნა საკავშირო კომისია, კომისიაში შედიან წითელ-არმიელებიც.

კომისია დაიყო სექციებათ. ამ ჟამად არის სულ შემდეგი სექციები: 1) მუშებთან (ფაბრიკა—ქარხნებთან) დამაკავშირებელი სექცია, 2) სოფელთან (გლეხობასთან), 3) სხვა და სხვა სამხედრო ნაწილებთან და 4) წ.არმიელთა და უფ-პოლიტშემადგენლობის ოჯახებთან დამაკავშირებელი სექციები.

მუშებთან დამაკავშირებელმა სექციამ უკვე დაიჭირა კავშირი ბათომის მუშებთან. კომისიამ ლეგიონიდან გამოყო მათი დრამატიული წრისათვის ხელმძღვანელი, ხშირად აგზავნის მათ კლუბში ლეგიონის მომღერალთა ჯგუფს.

სოფელთან (გლეხებთან) დამაკავშირებელმა სექციამ, მიიღო ბათომის საოლქო პარტკომიტეტიდან ცნობა, რომელიც მოგვიწოდებდა აგვეღო შეფობა სოფ. ახალშენში. ამ დღეებში სექცია გაემგზავრება ხსენებულ სოფელშიაც.

სამხედრო ნაწილებთან დამკავშირებელმა სექციამ უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯი და დაიკავა კავშირი პირველ რუსულ ლეგიონთან. ამ დღეებში მთელი ლეგიონი ვესტუმრებით რუს ამხანაგებს ამ კავშირის კიდევ უფრო განსამტკიცებლად.

ყველა სექციებს გამომუშავებული აქვთ ამ ჟამად ერთი თვის მუშაობის გეგმა.

ლა—კო.

# 1-ლი არტ-ლეგიონის ბიბლიოთეკა.

ჩვენს ლეგიონში საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკაა. აქ მოიპოება თითქმის ყოველგვარი სახელმძღვანელო და პოლიტ-საგანმანათლებლო ხასიათის წიგნები, მაგრამ სამწუხაროთ წითელ არმიელები ვერ სარგებლობენ ამით შესაფერად. შევდივართ ბიბლიოთეკაში, ვირჩევთ კატალოგიდან წიგნებს მაგრამ გამგე გვეუბნება, რომ ისინი წაღებული არისო. ამის გამო იძულებული ვხდებით ისეთი წიგნებით დავკმაყოფილდეთ, რომლებიც ჩვენ არ გვაინტერესებენ.

კარგი წიგნები წაღებული ჰქონია ჩვენს უფ-პოლიტ-შემადგენლობას და უკან აღარ აბრუნებენ. ზოგიერთს, თვით ბიბლიოთეკის გამგის განცხადებას თუ დაუჯერებთ, მთელი წლობით ჰქონიათ წაღებული 15—20 ც. წიგნები.

საკვირველია, რად იქცევიან ასე ეს შეგნებული ამხანაგები? ან და თვით ბიბლიოთეკის გამგე რად აძლევს წიგნებს ისეთ ამხანაგებს, რომლებსაც წინად წაღებული წიგნები არ დაუბრუნებიათ უკან?

აქ ბრალი ბიბგამგესაც ედება.

დროა ამხანაგებმა დააბრუნონ უკან წიგნები და ჩვენც მოგვცენ საშვალება გავეცნოთ მათ.

სამხკორი ეკლი.

# ამბები სოფლებიდან

**სამუზეუმო ნივთების აღრიცხვა.**

ახალციხის სამაზრო აღმასკომმა დაავალა ახალციხის მუზეუმის გამგეს შეადგინოს ნუსხა მაზრაში არსებულ სამუზეუმო ნივთებისა.

**საბავშვო მოედანი სოფლად.**

რაჭის სამაზრო აღმასკომის მეთაურობით სოფ. ნიკორწმინდაში მოეწყო საბავშვო მოედანი, ფიზკულტურისათვის.

**ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან.**

რაჭის სამაზრო პოლიტგანის წ.-კ. უ. სალიკვიდაციო სკოლები ამა წლის პირველ ნახევარში დაასრულა 585 კაცმა.

**აბრეშუმის ქარხანა.**

ოზურგეთში შეუდგენ აბრეშუმის საქსოვი ქარხნის აგებას. ქარხანაში იმუშავებს 500 მუშა.

**კლუბის აგება.**

ხაშურში შეუდგენ რკინისგზელ მუშათა კლუბის შენებას.

**ექიმბაშობასთან ბრძოლა.**

ახლო ხანში აჭარის მაზრებში ჩატარებული იქნება ექიმბაშობასთან ბრძოლის კვირეული.

**თევზის მოშენება.**

გორის აღმასკომმა დაადგინა ტაბა-წყურის ტბაში შეუდგეს თევზების მოშენებას. სათანადო შუამდგომლობით დახმარების აღმოჩენის შესახებ მიმართეს მიწ. მოქ. კომისარიატს.

**გლეხკომების გამოკვლევა.**

სოც. უზრ. კომისარიატმა დაასრულა სიღნაღის მაზრის გლეხკომების გამოკვლევა.

**ხანძარი რაჭაში.**

სოფ. საკაოში, ონიდან 8 ვერსის მანძილზე გაჩნდა ხანძარი დაიწვა 6 კომლი.

# ახალი ამბები.

— ავიაქიმის კონფერენციები. ახლო ხანში რესპუბლიკის მაზრებში ჩატარებულ იქნება ავიაქიმის სამაზრო კომიტეტების კონფერენციები, რაც დასრულდება 30 ოქტომბრისათვის.

— ღარიბ მოქალაქეთა ღამის გასათევ სახლის ასაგებათ ტფილის აღმასკომმა დაადგინა გადასდოს 25.000 მანეთი.

— გამოკვლევა ელექტრო რკინისგზის გასაყვანათ ტფილის-კოჯორს შორის სოფ. წყნეთის მიმართულებით დასრულდება ამ დღეებში.

— მოჯამაგირეთა შორის მუშაობის საწარმოებლათ მიწა-ტყის კავშირის ცენტრ. კომიტეტმა გადასდო 2 ათასი მან.

— ტურბინების მიღება. ზაჰესის კომიტეტმა ლენინგრადიდან მიიღო ზაჰესისათვის საჭირო ტურბინების (წყალით მამოძრავებელი მანქანები) ნაწილები ორი ვაგონის რაოდენობით.

— საფრენ მოდელების შეჯიბრების მოსაწყობათ, ქუთაისში, საქ. ავიაქიმმა გადასდო 600. მან.150მ. მიეცემა იმას ვისაც გამარჯვება დარჩება.

— სკოლების გარეშე დარჩენილ ბავშვების მოსათავსებლათ ტფილისის აღმასკომი ხსნის ახალ ჯგუფებს და საბავშვო ბაღებს.

— გლეხკომებში მომუშავე ბოროტ-მომქედ პირთა წინააღმდეგ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის და ცენტრალური გლეხკომის შუამდგომლობით იუსტიციის სახალხო კომისარიატმა ცირკულიარული მიწერილობები დაუგზავნა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოებს და რესპუბლიკის ყველა სახალხო სასამართლოებს პირველ რიგში გაარჩიონ იმ პირთა საქმეები, რომლებმაც გლეხკომებში ბოროტმოქმედება ჩაიდინეს.

— თავშესაფარში მოთავსებული ინვალიდების რაოდენობა. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში მყოფ. საინვალიდო სახლებში სრულ კმაყოფაზე ჩარიცხული არიან: პირველ სახლში (ზუბალაშვილის სახელობის) ინვალიდები მამაკაცები 100-ი, მეორეში ინვალიდი ქალები-100-ი და მესამეში-სამხედრო ინვალიდი მამაკაცები-50-ი.

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** ვმსახურებდი ქართ. მეთ. სამხ. სკოლის უმწყობრო გუნდის ზემდეგათ. 1925 წ. 10 სექტემბერს ვიქენი გადაყვანილი სკოლაში კურსანტათ. მერგება თუ არა ზემდეგის ჯამაგირი?

პ. ბერია.

**პასუხი.** ვინაიდან თქვენ მიღებული ხართ კურსანტათ, ამიტომ უმწყობრო გუნდის სიიდან ამორიცხული იქენით და ზემდეგათ აღარ ითვლებით. ზემდეგის ჯამაგირი არ გერგებათ, როგორც კურსანტს.

**კითხვა.** მე ვარ გამოწვეული 1924 წ. შემოდგომაზე. როდის დამითხოვენ სამსახური დან?

გ. გ.

**პასუხი.** გაისად, შემოდგომაზე.

**კითხვა.** გამოწვეული ვარ 1924 წ. შემოდგომაზე. მყავს ძმა დაბადებული 1903 წ. ეხლა უწევს მას სამსახური. სახლში გვყავს სარჩენი. გამოიყვანენ ჩემს ძმას თუ არა?

ხამნიაშვილი.

**პასუხი.** თქვენ ძმამ უნდა წარადგინოს ამის შესახებ საბუთები და ის შეიძლება გადარიცხულ იქნას ცვალებად შემადგენლობაში ან სრულიად განთავისუფლებული.

**კითხვა.** ოჯახური მდგომარეობის გამო მე განთავისუფლებული ვიყავი ექვსი თვის სამსახურის შემდეგ პირველი ხირისხით. 1925 წ. კვლავ გამიწვიეს მე 6 ტერ-ლეგიონში. მეკუთვნის თუ არა სამსახური?

შალვა კაჩუაშვილი.

**პასუხი.** ტერ ნაწილში თქვენი ხამსახური სავალდებულოა საერთო წესით.

**კითხვა.** მინდოდა მეთაურთა სკოლაში შესვლა, მარა სამ საგანში ჩავიჭერი, ჩემი სურვილით დავრჩი სკოლაში წ. არმიელათ. დაბ. ვარ 1905 წ. შემიძლია თუ არა შევიდე სამხ. სკოლაში ან რკ. გზის დამცველთა რაზმში?

მ. ჟღენტი.

**პასუხი.** სამხ. სკოლაში შესვლა გვიანაა. სკოლიდან წასვლა შეგიძლიათ ერთი წლის სამსახურის გათავების შემდეგ. რკ. გზის რაზმში მიღების დროს წ. ა. ეძლევათ უპირატესობა.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტნის წევრად დამტკიცების შესახებ, კომპარტიის კანდიდანტს, წითელ არმიელ ამხ. ედიშერ ალექსის-ძე ხარატიშვილს, მცხოვრები გორის მაზრაში სოფ. ტეზერში. აღნიშნული კომუჯრედი სთხოვს ყველა იმათ ვინც კი იციან რაიმე უარყოფითი ამხ. ხარატიშვილზე აცნობონ ერთი კვირის განმავლობაში.

მისამართი: ქ. თბილისი დავიდოვის ქ. № 6.

ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედი.

მე 2. მ. დივიზიის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ შემდეგ წ. არმ. ამხ. ამხ. ვასილ ციყელაშვილს და სარქის ოგანეზოვს. თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს მათ შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

კომ. უჯ. ბიურო.

ქართულ სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კ. პ. კანდიდატობიდან პარტიის წევრებად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: მოსე ქერქაძეს და გადახაბაძე გერასიმეს.

კომუჯრედი სთხოვს მოქალაქეებს თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცის აღნიშნული ამხანაგების შესახებ, აცნობონ მას 10 დღის განმავლობაში, სკოლის კომუჯრედის ბიუროში.

პოლიტ-სკოლის კომუჯრედის ბიურო.

დროებითი რედაქტორი მ. სიმონგულოვი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.